გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmall.com

# სამტრედიის მაცნე

№9 (9363) 15 მაისი. 2022 წელი ფასი 75 თეთრი







## ილორში კვირაცხოვლობის სახელობის ტაძარი ამოქმედდა

## "კარდაკარ კამპანია" _ დააფიქსირე არსებობა

2

## სამტრედიის წითელი ჯვრის ფილიალი ფოთში







9

## "უკრაინაში დავიბადე და აქ გავიზარდე"

## წიგნს თავისი ხიბლი აქვს...

7

7

## მურმან კაშიას ტურნირმა ნიჭიერი მათემატიკოსები გამოავლინა

# საკრებულოს დეპუტატებს გაწეული ხარჯები აუნაზღაურდებათ

თეა გაგუნაშვილი

**საკრებულოს სხდომა, რომელზეც განსახილველი საკითხების სრული უმრავლესობა, მხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციების ბიუჯეტში მუხლობრივ ცვლილებებს შეეხებოდა, ხმაურს მიჩვეულ საკრებულოს დარბაზში სრული სიმშვიდით ჩატარდა. სხდომას ეტყობოდა, რომ ოპოზიცია, გამოტანილი საკითხების განხილვამდე, ბიუროს სხდომას ესწრებოდა, რადგან კითხვები თითქმის არ ჰქონდათ და არც უმრავლესობის წევრები ახსენებდნენ იქედნურად: "ბიუროზე განვიხილეთ"!**

ცვლილებები გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ბიუჯეტში, ახლადრეაბილიტირებული ბორნის უსაფრთხოების საშუალებების და გარკვეული კატეგორიის ტრანსპორტის შესაძენად თანხების გადანაცვლებამ გამოიწვია. გარდა ამისა, გაძვირებული საწვავის ფასის გათვალისწინებით, გაერთიანების ბიუჯეტი 10 ათასი ლარით გაიზარდა. საკითხი ამ თანხების შიდამუხლობრივი გადანაცვლებების გამო იქნა გამოტანილი განსახილველად.

ცვლილებები შეეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიუჯეტსაც, რაც ინვენტარის, კერძოდ, სკამების შეძენის აუცილებლობით იყო გამოწვეული. რბილი ავეჯის შესაძენად განკუთვნილი თანხა ამჯერად საოფისე ავეჯის შესაძენ მუხლში გადაიტანეს.

მუხლობრივი გადანაცვლებები განიხილეს მუნიციპალიტეტის სახელობის სპორტული კლუბისა და კომპლექსური სპორტული სკოლის ბიუჯეტშიც.

გარკვეული გაუგებრობები, რომლებიც საჭიდაო კლუბ "ფალავანის", დარბაზის რეაბილიტაციის ირგვლივ იყო, მოგვარებულია. ამ საკითხზე უკვე მუშაობენ შესაბამისი სტრუქტურები და მუხლობრივი გადანაცვლება ამ ორგანიზაციის ბიუჯეტშიც ამით გახლდათ განპირობებული.

აგრეთვე, დეპუტატები გაეცნენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე და მარტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში.

ყველა ეს საკითხი განსახილველად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მერაბ ულრველიძემ გამოიტანა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის წევრების, გარდა თანამდებობის პირებისა, მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ, საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის №30-ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ ისაუბრა. ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, დეპუტატებს მათ მიერ მოვალეობის შესრულების ფარგლებში გაწეული ხარჯები აუნაზღაურდებათ 660 ლარის ფარგლებში.

# სამტრედიის წითელი ჯვრის ფილიალი ფოთში

ნინო ნანიტაშვილი

წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის ორგანიზებით, სამტრედიისა და ფოთის წითელი ჯვრის მოხალისეებისთვის პირველი დახმარებისა და კატასტროფების მართვის შესახებ საინფორმაციო სესია ჩატარდა. აქცია განხორციელდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის კვირეულის ფარგლებში, რომელშიც სამტრედიიდან მონაწილეობდნენ:

წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის მენეჯერი ნათია გოგუაძე, კატასტროფების მართვის სპეციალისტი ირმა შველიძე, პირველადი დახმარების სპეციალისტი ნინა ტუღუში, ბინაზე მოვლის სპეციალისტი ჟულიეტა კიკაჩეიშვილი, კომუნიკაციის მართვის სპეციალისტი სოფიკო ლოლობერიძე და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების სპეციალისტი თამრიკო ვაშაკიძე, ასევე ფილიალის მოხალისეები.

"მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების მიზნით ყოველთვის მზად ვარ, რომ მსგავს აქტივობაში ჩავერთო. ვფიქრობ, დღევანდელი აქტივობა ძალიან სასარგებლო იყო მეგობარი ფილიალის მოხალისეებისათვის. საინფორმაციო სესიაზე ისაუბრეს კატასტროფების მართვასა და რისკის შემცირებაზე, ასევე დაზარალებულის პირველად დახმარებაზე." – "სამტრედიის მაცნეს" თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა ნინი გეგეშიძემ მოხალისე.





# "კარდაკარ კამპანია" — დააფიქსირე არსებობა

ნინო ნანიტაშვილი

კამპანიის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ისეთი პირების იდენტიფიცირება, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში, არ ფლობენ პირად ნომერს, მათი მოქალაქეობის საკითხი დაუდგენელია და შესაბამისად, არ აქვთ წვდომა კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებებსა და სხვადასხვა სერვისებზე. "კარდაკარ" კამპანიის განხორციელების ვალდებულება საქართველომ აიღო 2019 წელს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე და ის ითვალისწინებს ქვეყნის მიერ მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების გაუმჯობესებას. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს, ფლობდეს ინფორმაციას მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების შესახებ, რათა უზრუნველყოს მათი წვდომა უფლებებზე კომპანია განხორციელდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა საქართველოში არის ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც აქტიურად მუშაობს სახელმწიფო დაწესებულებებთან თანამშრომლობით... და მოქალაქეობის არმქონეობის საკითხებზე. კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტების და ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების დახმარებით იდენტიფიცირებული იქნებიან ამ ორგანოთა სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები უდოკუმენტო, მოქალაქეობის არმქონე ან მოქალაქეობის არმქონეობის და რისკის ქვეშ მყოფი პირები. სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პირებთან კომუნიკაციას, შესაბამის სერვისზე დოკუმენტებისა ბიომეტრიული მონაცემების ადგილზე მიღებას და ამ პირთა დოკუმენტირებას. კამპანიის ფარგლებში ადამიანების დოკუმენტირება მოხდება უფასოდ.

ამ ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანის მიზნით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საგურამოში ორდღიანი ტრენინგ-ტური გამართა რეგიონული ტელეკომპანიების ჟურნალისტებისთვის.

თემის პრეზენტაციით აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა საქართველოში, მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ნინო ქაჯაია, მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი ია ბიგანაშვილი. მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა საქართველოში მოქალაქეობის არმქონე/უდოკუმენტო პირების საკითხზე შემეცნებითი როლური თამაშები, დისკუსია.



# ილორში კვირაცხოვლობის სახელობის ტაძარი ამოქმედდა

ქეთევან ჭელიძე

ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა, მეუფე საბამ ილორში ტაძარი აკურთხა და საზეიმო წირვა-ლოცვაც აღავლინა. კვირაცხოვლობის სახელზე ის ერთადერთი ტაძარია ეპარქიაში, რომლის ქტიტორი წარმოშობით ილორელი ავთანდილ ჯანჯალიაა.

ჯონი ნადირაძე: "სამტრედიის ისტორიულ უბანში ახალი ტაძარი აკურთხა. იმედი გვაქვს, რადგან ერთადერთი ტაძარია კვირაცხოვლობის სახელზე, ყოველ ამ დღეს მეუფე ჩვენთან იქნება. აღსანიშნავია, რომ ილორის მოსახლეობის გვარები უმეტესად მეგრული წარმოშობისაა. სამეგრელოს დიდ მთავარს, ლევან დადიანს ჩამოუსახლებია ამ ტერიტორიაზე შვიდი გვარი და შექმნა ხოფელი ილორი. ეს გვარებია: ჯანჯალია, მექერია, მურღულია, გოგოლია, ბირკაია, გოგია და ქანთარია. დღეს ილორში მათი შთამომავლები ცხოვრობენ. ავთანდილ ჯანჯალიამ სადღესასწაულოდ საუკეთესო საჩუქარი მოუძღვნა თავის თანამემამულეებს."

საზეიმო ლიტურგიას მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძეც დაესწრო. "კვირაცხოვლობას გილოცავთ. ნამდვილად მნიშვნელოვანი დღეა ჩვენს მუნიციპალიტეტში. ხონი-სამტრედიის ეპარქიაში ხუროთმოძღვრების მშვენიერი ნიმუში, კარგი ტაძარი აიგო ილორის დასახლებაში. ვულოცავთ ჩვენს მრევლს, მეუფეს და დარწმუნებული ვარ, სულიერი ცხოვრება, ქრისტიანობისადმი პატივისცემა, რაც ჩვენს ერს წარსულიდან მოსდევს ახლაც გაგრძელდება. ის ფაქტი, რომ ტაძარი აიგო, კარგი მაგალითია, რომ ჩვენი ეპარქია განვითარდეს. რამდენიმე ათეული წელია, რაც მეუფე საბა ჩვენი ეპარქიის წინამძღოლია და ყოველ წელს ახალი ტაძარი იგება."– აღნიშნა დავით ბახტაძემ.

მადლიერება გამოხატა ტაძრის აღმშენებლის მიმართ ილორელმა ოთარ მარგიანმა: "მადლობა უფალს! ეს ტაძარი აიგო უღამაზეს ილორის ტერიტორიაზე. ილორში აქვე მდებარეობდა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც იმ აყალსახსენებელ დროს დაანგრიეს. დიდებული საჩუქარი შეხძინა ჩვენს კუთხეს ავთანდილ ჯანჯალიამ, ჰექტარი მიწა შეიძინა, თავისაც მიუმატა და ამ ადგილზე ტაძარი აიგო. მადლობა მას ამისთვის."





# ფაშიზმზე გამარჯვების 9 მაისი 77-ე წლისთავს ითვლის

თეა ბაბუნაშვილი

უკვე არაერთი წელია, ფაშიზმზე გამარჯვების ჰქვია იმ დღეს, წლების წინ გერმანიაზე სსრკ-ს გამარჯვების ნიშნად, რაიხსტაგზე ნამგალ-უროიანი წითელი დროშის აღმართვის უდიდესი ზეიმი რომ იყო. დღეს სწორედ ის რუსეთი გახდა ფაშისტი, მაშინაც საკუთარ ჩექმას რომ ადგამდა არაერთ ერსა და ქვეყნის მიწას და ახლა უკვე სსრკ-ს აღდგენის შეფარული განზრახვით ოკუპანტის გაცხადებულ სურვილებს ვერ ფარავს. რუსული ცეცხლის ალში გახვეული უკრაინული შეუდრეკელობა ევროპულ-ამერიკული დიპლომატიის მოზომილობით 21-ე საუკუნის მსოფლიოს გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა გახდა.

ფაშიზმზე გამარჯვების 9 მაისი კი 77-ე წლისწადს ითვლის და შინმოუსვლელთა მემორიალები ისევ ყვავილებით იმოსება. და ასეა ყველგან, იმ რუსეთშიც, საბჭოთა კავშირის ისტორიის წიგნივით რომ იფურცლება, რუსეთმა პირსისხლიან გერმანიას სძლიათ. უკრაინის დამარცხება საცხრამასოდ არ გამოუვიდა რუსეთს, დანარჩენმა სამყარომ კი ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა.

ისე როგორც სხვაგან, როგორც ყველგან, შინმოუსვლელის მემორიალთან სამტრედიელებიც ყვავილებით მივიდნენ. მორიგადაც, საჯარო მოხელეები. წელს, წინა წლებისგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთაგან მემორიალთან არავინ გამოსულა. სამტრედიაში მხოლოდ ერთი ქალბატონი დარჩა — ალექსანდრა ჯულუხიძე, რომელიც შინ მოინახულეს და რომელიც 9 მაისიდან სულ რაღაც 13 დღეში 100 წლისა გახდება. ალექსანდრა ჯულუხიძე, უკრაინელია. ასაკოვანმა ქალბატონმა დღეს არც იცის, რა ხდება მის მშობლიურ უკრაინაში. იგი ომში დაწყებულმა სიყვარულმა ჩამოიყვანა საქართველოში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაენიშში და გვარად ნეკენეცი ჯულუხიძე გახადა. ამანათი, მას რომ ადგილობრივი მერიიდან გადაეცა, საკმაოდ სოლიდური გახლდათ და ის თანხაც, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ საქართველოს მთავრობისგან მიიღო. პრემიერის გადაწყვეტილებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის განკუთვნილი ფულადი ჯილდო 1000 ლარი გახლდათ. ადგილობრივმა მერიამ კი ამ თანხას კიდევ 1000 ლარი დაამატა.

"77 წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან. არ შეიძლება იმ წვლილის დავიწყება, რაც ქართველმა ერმა ამ ბოროტებასთან ბრძოლაში შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საქართველო სსრკ–ს შემადგენლობაში იყო, ყველა ქართველი საკუთარ ოჯახსა და ქვეყანას იცავდა. დაუშვებელია ამ უდიდესი ბოროტებაზე, ფაშიზმზე გამარჯვების არ აღნიშვნა. 9 მაისი ამის სიმბოლოა ბევრ ქვეყანაში."

გარდა იმისა, რომ ომის მონაწილეებს გადაეცემათ თანხა, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 500 ლარი იმ ოჯახების ანგარიშზეც დაირიცხება, ვინც მეორე მსოფლიო ომში მარჩენალი დაკარგა.

იმ 700 ათასი ადამიანიდან, საქართველოდან რომ წავიდა ფაშიზმთან საბრძოლველად, 300 ათასზე მეტი დაიღუპა. პროცენტულად საქართველომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო მეორე მსოფლიო ომში.

დღეს კი მსოფლიო თანამედროვე ფაშიზმს ებრძვის. ამ ბრძოლაშიც უნდა დამარცხდეს იგი, რადგან ფაშიზმი, როგორც უდიდესი ბოროტება, დასამარცხებლადაა განწირული!







# ეროვნული დღესასწაულის გილოცავთ!

ლევან ბაბიჩაძე

*1918 წელი, 26 მაისი მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ახალ ისტორიაში. სწორედ ამ დღეს იშვა დემოკრატიული საქართველო, როგორც თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო. სამწუხაროდ, ხანმოკლე თავისუფლება 1921 წლის სისხლიან ანექსიამდე გაგრძელდა მხოლოდ. რუსეთმა მოაწყო ხოცვა-ჟლეტა მაშინ კოჯორსა და ტაბახმელაში, თბილისში. ლამის ყველა საჯარო სახელმწიფო ინსტიტუციის ჩამოყალიბება მოხერხდა თავისუფლების სამ წელიწადში. მერე ისევ ღალატი შიგნიდან და გარედან, სისხლი, ცრემლი...*

1989 წლის 9 აპრილი საბჭოთა დასასრულის დასაწყისი გახდა. ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს კი, უზენაესი საბჭოს სავანეში ხელახლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე. რაოდენ საამაყოა, რომ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში დამოუკიდებლობის აქტს ხელს ღირსეული სამტრედიელები აწერენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათ აქტიურ მონაწილეობაზე, მათ დიდ წვლილზე მიუთითებს ყოველივე.

104 წელი გავიდა 1918 წლის 26 მაისიდან და დღესაც ისევ და ისევ რუსეთის მიერაა ოკუპირებული ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე მეტი.

არ ისვენებს რუსეთი, "ვერ ეტევა კანში" და ამჟამად შუაგულ ევროპაში, მშვიდობიან უკრაინას დაესხა თავს. გაუგონარი სისასტიკე, სისხლი, ცრემლი, ერთი სიტყვით საკუთარი შოვინისტური ბუნების გამო, კვლავ მიაპყრო რუსეთმა მსოფლიოს ყურადღება.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი ცნობადობისათვის ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა საყოველთაო უმუშევრობა და ემიგრანტთა არმიები გულზე ხელდაკრეფილი ყოფნის საბაბს არ იძლევა.

ნამდვილად არაა ახლა ერთურთის თვალში ბეწვის ძებნის დრო, ყველამ ხელდაკაპიწებულებმა უნდა ვჭედოთ ჩვენი ქვეყნის მომავალი. მეტი მიწა უნდა მოიხნას, მეტი უნდა დაითესოს, შესაბამისად მეტად ბარაქიანი რომ იყოს და თვალი უცხოელთა დახმარებისაკენ არ გაგვექცეს. შრომა, შრომაა მთავარი, აი, მაშინ იქნება ჩვენი ქვეყანა ძლიერი, მაშინ ვიქნებით ბედნიერები.

მოდის 26 მაისი, საქართველოს ეროვნული დღესასწაული. მოწიწებით ვხრით თავს მათი ნათელი ხსოვნის წინაშე ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას რომ უძღვნეს ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე.

სანთლებად დაინთებს სამშობლო მათ ხსოვნას.

ნიშანდობლივია, რომ 26 მაისი (1939 წ.) საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა.

მერაბმა, შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტთან ზვიად გამსახურდიასთან ერთად ყმაწვილკაცობაშივე იწვნია რისხვა სამშობლოს სიყვარულისთვის, თუმცა სამართალმა პური ჭამა და დღეს მათ მაგალითზე თაობები იზრდებიან, კვლავაც გაიზრდებიან.

საქართველოში არ ივიწყებენ გმირებს. გმირებს ვადიდებთ ჩვენ.




## ისრაელი — ერთიანობა რელიგიის, რწმენის და თავისუფლების

5 მაისს ისრაელის იომ ჰაცმაუთი, ანუ დაარსების 74 წლის იუბილეა. ქვეყანა, რომელიც სულ რამდენიმე წლის ითვლის, სახელმწიფოებს შორის ძლიერი, მოწესრიგებული, განვითარებული და წამყვანი ქვეყანაა.

ისრაელს არ აქვს უფლება, წააგოს თუნდაც ერთი ომი: ეს ფრაზა ისრაელის თითოეულმა მოქალაქემ იცის და კარგად იაზრებს მის მნიშვნელობას. ყველა სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი თვითგადარჩენაა, ყველაზე მეტად, ეს თუ შეიძლება რომელიმე ქვეყანაზე ითქვას, ისრაელია.



ისრაელის სახელმწიფოს, შექმნიდან მოყოლებული, მტრულად განწყობილ რეგიონში ექსტრემალურ პირობებში უწევს არსებობა, საკუთარი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება და ისრაელის მოქალაქეთა დაცვა მინიმალური დანაკარგების ხარჯზე.

ქვეყანა, რომელიც, ფაქტობრივად, მუდმივ საომარ ვითარებაშია და მზადყოფნაშია, და ასევე, ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, კანონს ემორჩილება. მათთვის კანონი, რელიგია და სახელმწიფო ყველაფერზე მაღლა დგას.

ამ ქვეყანაში გოგონებს უწევთ ხანგრძლივი მეგობრობა ცეცხლსასროლ იარაღებთან. როგორც მამაკაცები, ასევე ქალებიც ერთად მეცადინეობენ სამხედრო სავალდებულო შტაბში. ეს არის ქვეყანა, სადაც ჯარში სამსახური ისეთივე ვალდებულება არის ნაზი სქესისთვის, როგორც მათი საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისთვის. ქალები მამაკაცებთან ერთად ქვეყნის სადარაჯოზე დგანან. ქუჩაში შეგხვდებიან ლამაზ ფორმაში ჩაცმული იარაღგადაკიდებული ლამაზმანები. ქვეყნის თავისუფლება ყველა ებრაელისთვის ამომავალი მზეა.

ისრაელის სახელმწიფო 9 მილიონი მოქალაქისაგან შედგება. ძირითადი სარწმუნოება იუდაიზმია. ისრაელი სამშობლოდ ითვლება სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაც, მათ შორის უმრავლესობას არაბები და მრავალრიცხოვანი რელიგიური ჯგუფები, მუსლიმები, ქრისტიანები, სამარიტელები და სხვები წარმოადგენენ.

უკვე 2 წელია, ამ ქვეყანაში ვცხოვრობ და აღფრთოვანებული ვარ ამ ხალხით, რომლებიც, მიუხედავად სხვადასხვა წარმომავლობისა, ერთნაირად ემსახურებიან მის რწმენას. ყოველ პარასკევს ჩამოივლის მანქანა გზაზე და აცხადებს, რომელ საათზე შემოდის შაბათი. ყველა ოჯახში ერთი და იგივე დროზე ინთება სანთელი და ყველა ოჯახი ერთი და იმავე დროს ვახშმობს. ებრაელებისთვის შაბათი უქმეა და ისვენებენ. არც არაფერი მუშაობს და არც ტრანსპორტი მოძრაობს. ქვეყანას აქვს ერთიანობა რელიგიის, რწმენის და თავისუფლების.

აქ ამ ქვეყანაში ათასობით ქართველი ემიგრანტია. ყველა უზრუნველყოფილი და კმაყოფილი ვართ ებრაელებით. სითბოს და სიყვარულს ყველა გვიზიარებს, მეგობრობის ხელს გვიწვდიან, რაც მთავარია, ზემოდან არავინ გვიყურებს. მადლობას გვიხდიან მასთან გაწეული შრომისთვის. მადლობას გეტყვიან, დრო რომ დაუთმეთ და ჩემთან იმუშავეთ. მე ამ ქვეყანაში ვიცი, რას ნიშნავს ჩემი შრომა და რამდენად ღირებულება აქვს ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ზოგადად ძალიან უყვართ ქართველები.

ვულოცავ 74 წლის იუბილეს ისრაელის სახელმწიფოს. მშვიდობა იყოს საქართველოში, ისრაელში და მთლიანად მთელ სამყაროში. შალომ!

ნატო ხუხუა
ისრაელში მცხოვრები ქართველი

## სასკოლო ინტელექტუალური ტურნირის გამარჯვებული პირველი სკოლის გუნდია

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიელთათვის ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი ის ადგილია, რომელსაც ჩვენი სულიერი და კულტურული ცენტრის მისია დაეკისრა. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორის, გიორგი ფანცულაიას იდეის საფუძველზე, წლევანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სასკოლო ინტელექტუალური ტურნირი ამ მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ გაიმართა. კითხვების თემატიკაც ნიკოლაძეთა დიდ კულტურულ მემკვიდრეობას შეეხებოდა. საავტორო კითხვები მოამზადეს სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრებმა.

სამტრედიის ინტელექტკლუბის პრეზიდენტი, გიორგი ჩაჩუა: "პანდემიის შემდეგ ფაქტობრივად ეს პირველი სასკოლო ტურნირი იყო, მართალია, ახალბედები იყვნენ, თანაც დაბალი კლასების მოსწავლეები, მაინც კარგად გაართვეს თავი სირთულეს და კარგი შედეგები აჩვენეს. მომავალში მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით კიდევ ვგეგმავთ სასკოლო ტურნირების გამართვას, რადგანაც ახალგაზრდებში ცოდნის და ინტელექტის ზრდა ჩვენი პრიორიტეტია. პირველადგილოსნის გამოსავლენად დაგვჭირდა დამატებითი კითხვები და მოიგო პირველი სკოლის გუნდმა. მეორე ადგილზე მეათე სკოლა გავიდა, მესამე ადგილი ორმა გუნდმა გაიყო და ორივე დავასაჩუქრეთ: მესამე და მეთერთმეტე სკოლა.

მხარდაჭერისთვის მადლობა პირადად მერს დავით ბახტაძეს, მერიის განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ სამსახურს, მის უფროსს ნატალია მანჯგალაძეს და იდეის ავტორს, გიორგი ფანცულაიას."



# "გვირილობა 2022" ქუთაისში

ნინო ნანიტაშვილი



"გვირილობა" და ქალაქის დღესასწაული მასშტაბური ღონისძიებების გარეშე აღინიშნა. ტრადიციულად ბაგრატის ტაძარში ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ ქალაქი დალოცა. ცერემონიალს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული, ზვიად შალამბერიძე, პირველი მოადგილე, ლევან ხაჩიძე, ქუთაისის მერი, იოსებ ხახალეიშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში ზაზა ლომინაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

"ვულოცავ ყველა ქუთაისელს "გვირილობის" დღესასწაულს. ეს სახალხო დღესასწაული ყოველთვის ასოცირდებოდა სიკეთესთან და ქველმოქმედებასთან. სამწუხაროდ, წელს მასშტაბურად ვერ აღვნიშნავთ, იქედან გამომდინარე, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მიმდინარეობს ომი, იხოცებიან უდანაშაულო ადამიანები და ქუთაისი, ისევე, როგორც მთელი საქართველო, არის სოლიდარული უკრაინის მიმართ". – განაცხადა ჟურნალისტებთან კომენტარში ზვიად შალამბერიძემ.

"გვირილობა 2022"-ის ფარგლებში საპატიო მოქალაქეები დაჯილდოვდნენ, ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამი თაობის ქალი გვირგვინით შეამკეს და ქუთაისის კოლორიტების ხსოვნას პატივი მიაგეს. გარდა ამისა, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში მოეწყო სხვადასხვა თემატიკის ნამუშევრების გამოფენა, მათ შორის წარმოდგენილი იყო ფოტოგამოფენა "ქუთაისის ხედები მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში". ღონისძიებების ფარგლებში ასევე გაიმართა ჭადრაკის ტურნირი მოყვარულთა შორის. ქალაქის სახალხო დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დღის ბოლომდე გაგრძელდა.



## მაია ჩიბურდანიძეს 60 წლის იუბილე ქუთაისში მიულოცეს

ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკის, მაია ჩიბურდანიძის 60 წლის იუბილე გაიმართა. ქართველი მოჭადრაკე ქუთაისში დაიბადა და გარკვეულ ასაკამდე აქ მოღვაწეობდა. საჭადრაკო ოლიმპიადების 9 გზის გამარჯვებულს, მსოფლიოს 5 გზის, 4 საჭადრაკო ოსკარის მფლობელს და სხვადასხვა პრიზების მფლობელს იუბილე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ მიულოცა და საქართველოს სახელის ფარგლებს გარეთ გატანის, ჭადრაკის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ახალი თაობების აღზრდისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

ზვიად შალამბერიძემ ლეგენდარულ სპორტსმენს სიმბოლურად, ბერძნული მითოლოგიით ტრიუმფისა და გამარჯვების ქალღმერთის "ნიკეს" ქანდაკების ასლი გადასცა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი, სადაც წარმოდგენილი იყო, როგორც ქორეოგრაფიული, ასევე, ფოლკლორული ნომრები.

ნინო ნანიტაშვილი



# კვირაცხოვლობას ...

თეა ბაბუნაშვილი

აღდგომას ჯვარცმის მინდორზე ლელობურთის აგდების ტრადიციაზე თითქმის ყველამ იცის სამტრედიაში. ისიც იციან, ტრადიციული შერკინება ნაბაკევსა და ნინუაკუთხეს შორის კვირაცხოვლობის დღესასწაულზეც რომ გრძელდება და გასატანად დადებულ ლელოში საბოლოო გამარჯვებული, სწორედ ამ დღეს გამოვლინდება. მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით წელს უფრო მრავალფეროვანი გახდა კვირაცხოვლობას დაგეგმილი სახალხო დღესასწაული. ლელოს დადებამდე შეჯიბრებები მკლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში მოეწყო. მკლავჭიდში საპრიზო ადგილები გოგა რუხაძემ, გურამ ხუჯუამ და პაველ ფესვიანიძემ, ხოლო ჭიდაობაში დავით ბაღდავაძემ, გიორგი ჩხარტიშვილმა და პაველ ფესვიანიძემ მოიპოვეს. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მათ ფასიანი საჩუქრები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძისა და მისი მოადგილეების, ლადო ზაქრაძის და გია მეიშვილის გარდა, სახალხო დღესასწაულს რამდენიმე საპატიო სტუმარიც ესწრებოდა. ქუთაისში გასამართი გვირილობის წინა დღეს სამტრედიას ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური სტუმრობდა. იგი პირველად გახლდათ სამტრედიაში და ინტერესით ადევნებდა თვალს ლელობურთს.

წელს ლელო ნაბაკევმა გაიტანა. ლელოს გარდა გასაყოფი ნინუაკუთხესთან არაფერი აქვს და ბოლოს ტრადიციას მოყოლილი ტრადიციული შეხვედრა სუფრასთან, ბუნებრივია, დიდი სიყვარულითა და მეგობრობით შედგა ამ ორ სოფელს შორის. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კი ფასიანი საჩუქარი მათაც გადაეცათ.







## გაიმარჯვეს ქვემო შუხუთელებმა

ჩვენი მეზობელი – ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში პანდემიის გამო 2-წლიანი პაუზის შემდეგ 24 აპრილს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს კვლავ განახლდა ტრადიციული შეჯიბრება ლელობურთში ზემო და ქვემო შუხუთელებს შორის.

2 საათიანი დაძაბული ასპარეზობის შემდეგ გამარჯვება ქვემო შუხუთელებმა მოიპოვეს.

იორამ ნიკოლაიშვილი

# შენთა საქმეთა მოწმეა ძირს კაცი, მაღლა – ღმერთი!..

ლევან ბაბეჩაძე

*რაც უნდა ის თქვან მოყვრებმა, არ გეშინია ჟიცი!..*
*ჭკვიანი გვერდით მოგყვება, ბრიყვი დაგაყრის სიცილს!..*
*სად ჩიტი ბუდეს იკეთებს, აქ მზეა მარად ცაში...*
*გულს ნუ გაიტეხ, სიკეთეც წამოგეწევა გზაში...*
*სიმართლე შენი მოძმეა, (შემინდე რაც რომ ვერ ვთქვი).*
*შენთა საქმეთა მოწმეა, ძირს კაცი, მაღლა ღმერთი!..*
*წესი აქვს მაყანს არ ცნობის (შავრენის ტყავიც გაცვდა!),*
*შენ მაინც შეძელ კაცობის დისერტაციის დაცვა!..*

ეს ლექსი პოეტ ილია ლეკვეიშვილის კრებულშია შესული და ბატონ სოსო ახობაძეს ეძღვნება, სრულიად ესადაგება მის ბუნებას, შინაგან სამყაროს.

და მაინც, რატომ გავახსენეთ 12 წლის წინ დასტამბული ლექსი ამჯერად?

იუბილარია ამ დღეებში ბატონი სოსო ახობაძე.

სამტრედიაში დაიბადა ტრადიციულ ქართულ ოჯახში. კვალიფიციურმა ინჟინერმა საკუთარი ხელწერა შეიტანა ჩვენი ქალაქის ისტორიაში. განსაკუთრებული იყო წლები, როცა ქალაქ სამტრედიის გამგებლად მუშაობდა. შესაბამის კონკურსში გამარჯვების შემდეგ, იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში გახლდათ მივლინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის უკეთ შესწავლა-გაცნობის მიზნით. დაუვიწყარია ქალაქის მაშინდელი გამგეობისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობაც. ქალაქში თითქმის არანაირი პრინციპული საქმე, სამომავლო საკითხი არ წყდებოდა საზოგადოების, ჟურნალისტების ჩართულობის გარეშე. "სამტრედიის მაცნეს" რედაქციასაც მაშინ შეუძინა ქალაქის გამგეობამ პირველი ციფრული ფოტოაპარატი და უამრავი ბარათიც ინახება ჩვენს არქივში, მნიშვნელოვან თარიღებს ქალაქის გამგეობა და საკრებულო რომ გვილოცავს იმის დასტურად.

უბრალოება, სოცარი თავმდაბლობა, მეტ ღირსებას მატებს მოყვასისა და მეგობრის მცნობ ღირსეულ კაცს, ჩინებული ოჯახის თავკაცს, რომლის ცხოვრებაში არანაკლებ მნიშვნელოვანი, წარმატებული იყო წლები, როცა ის სამმართველოს უფროსად, რაიონის გამგებლის მოადგილედ მუშაობდა.

საიუბილეოა წლევანდელი წელი ბატონი სოსოსთვის-თქო, ვთქვით ზემოთ.

გილოცავთ ბატონო სოსო, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა თქვენ და თქვენს ოჯახს. კვლავ დიდხანს გვევაწროთ თქვენეული შემართებით.

პოეტ ილია ლეკვეიშვილის ლექსით დავიწყე ჩემი თქვენდამი მილოცვის წერა და ჟურნალისტ კორნელი ჩიხლაძის ლექსის ერთი სტრიქონით დავასრულებ თქვენებრ ღირსეულ სამტრედიელს რომ უძღვნა ერთ დროს: "გვერდს ვერ აგივლის სამტრედიის მემატიანე!"

იდღეგრძელეთ!



# მათი ხატიც სამშობლო იყო და ლოცვაც – მრავალჟამიერი

ქეთევან ჩელიძე

***ამბავს გიამბობთ კაცზე, რომელიც იმ დროში ცხოვრობდა, "კომუნისტურ რეჟიმს" და სიცრუესთან წილნაყარ 70-წლიან რეალობას რომ ვეძახით. ახალი საზოგადოების შენების პროცესში არც იმ ეპოქის ადამიანების ცხოვრებაა ინტერესმოკლებული. ისინი ისტორიის დინებას უკვალოდ არ გაჰყოლიან. მათი ხატიც სამშობლო იყო და ლოცვაც – მრავალჟამიერი.***

***ვლადიმერ მანჯგალაძე ერთ-ერთია, მოყვასისთვის თავდადების, იდეალების ერთგულების, საქმისათვის პასუხისმგებლობის ზემაგალითი რომ აჩვენა. დღეს ეს იდეალები ზოგისთვის ღიმილის, ზოგისთვის ცინიზმის, ან უარეს შემთხვევაში აგრესიის მიზეზია, და მაინც, წარსულია არანაკლებ ღირსეული ადამიანებით.***

რემინგტონზე ნაბეჭდი ფურცლებით აკინძული თხელი წიგნი ბიოგრაფიაა ვლადიმერ მანჯგალაძესი, რომელიც მისმა ოჯახის წევრმა, დოდო მანჯგალაძემ, გამოგვცა. ქალბატონი დოდო ეწრის საბავშვო ბაღის მმართველია, წარმოშობით სიღნაღელი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობა ეწრის საშუალო სკოლაში დაიწყო. მალე იქორწინა გურამ მანჯგალაძეზე და სამი ქალიშვილის დედაც გახდა. იგი შალვა დადიანის ნათესავია, მისი ბებია, ანა დადიანი მწერლის და გახლდათ.

ვლადიმერ მანჯგალაძე ქალბატონი დოდოს მამამთილის მამაა. იგი 1886 წელს დაიბადა ჭოგანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 5 წლისაც არ იყო, მშობლები გარდაეცვალა. ჯერ ბიცოლა ზრდიდა, შემდეგ დედის ძმამ, ლუკა ძაძამიძემ, რომელიც ეწერში ჯიქოურბანში ცხოვრობდა იკისრა მისი აღზრდა. დუხჭირმა ყოფამ აიძულა ვლადიმერი 15 წლისა თავის მეზობელთან ერთად სამუშაოდ თბილისში წასულიყო. გარკვეული დროის შემდეგ ჭიათურაში მანგანუმის მაღაროში დაიწყო მუშაობა. თავდადებული შრომით ყველას ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა. აქვე ებმება 1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში. ჭიათურაში სამოქალაქოებელი არალეგალური ორგანიზაციის "უჯრედის", აქტიური წევრი ხდება. მან აქვე გაიცნო სამტრედიელი ვალიკო გეგეშიძე, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი და მის ბინაში მონაწილეობა მიიღო სოციალურ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენციაში, რომელსაც იოსებ ჯუღაშვილი უძღვებოდა. იგი ასევე მონაწილეობდა დიდ ჯიხაიშში ალექსი ხაცაიას სახლში სტალინის მიერ გამართულ თათბირებსა და საუბრებში.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ რევოლუციონერების მასობრივი დაპატიმრება დაიწყო. ქუთაისის საგუბერნიო ციხეში 40-ზე მეტი ადამიანი სიკვდილით დასჯას ელოდა. ერთადერთი იმედი მიწისქვეშა გვირაბით გაქცევა იყო. საქმე ქუთაისის სხვის კომიტეტმა განიხილა. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა პოლიტიკურ პატიმართა გადარჩენა. კომიტეტის დავალებით მიხა ცხაკაია ჟენევაში ემიგრაციაში მყოფ ლენინთან ჩავიდა. მან მოიწონა გეგმა და პირადად მას დაავალა საქმის განხორციელება. უკან დაბრუნებულმა ცხაკაიამ ბაქოში იოსებ ჯუღაშვილი ინახულა და ლენინის მოსაზრება გააცნო. "მრავალ შესაძლებლობათა შორის გვირაბი ყველაზე დასაშვებია". – დაადასტურა მან.

მიხა ცხაკაია ქუთაისში ჩამოვიდა და კომიტეტის საიდუმლო სხდომა გამართა. გვირაბის გასაყვანად ჭიათურის მაღაროების მუშებს მიმართეს. არჩევანი ვლადიმერ მანჯგალაძეზე შეჩერდა. საჭირო გახდა ციხესთან მცხოვრები ფანცხავას სახლის დაქირავება. გეგმა ასეთი იყო: სახლის სარდაფიდან გვირაბი გაივლიდა და გადაკვეთდა ახლომდებარე ქუჩას, ციხის წინ არსებულ მოედანს და მიადგებოდა ციხის საძირკველს. 1 მეტრიანი ქვის კედლის გავლის შემდეგ იმ საკნის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ, სადაც სიკვდილმისჯილები იმყოფებოდნენ.

ვლადიმერი დამხმარე მუშებთან ერთად შეუდგა მუშაობას. სახლს, ეჭვი რომ არ შეეტანათ, "წინდების საქსოვი და საჩქეროვალი სახელოსნო" დააწერეს. სახელოსნო



იღებდა კერძო შეკვეთებს, ამასთანავე პატიმრებისთვის კერავდა ტანსაცმელს.

გვირაბიდან სარდაფში გამოტანილ მიწას ტომრებში ყრიდნენ და ტყეირის ქვეშ დებდნენ, რომლებიც ცალცხენა ურმებით გაჰქონდათ. მედროგე, როგორც სანდო პირი, თბილისიდან ჩამოიყვანეს. მცდელობის მიუხედავად მეფის აგენტებმა სინამდვილე ვერ გამოაშკარავეს, საქმე იქამდეც მივიდა, ერთ-ერთი აგენტის მოკვლაც კი გახდა საჭირო. 45 დღე და ღამე თითქმის განუწყვეტლივ იმუშავა ვლადიმერ მანჯგალაძემ და რამდენიმე საათით დაასწრო პატიმრების გამოყვანა, ვიდრე განაჩენს აღასრულებდნენ. ძნელი იყო უჰაერობასა და მუდმივად მოხრილ მდგომარეობაში მუშაობა, მაგრამ ვლადიმერმა მაინც შესძლო დავალების შესრულება. პატიმართა შორის იმყოფებოდა მწერალი ლეო ქიაჩელი, რომელიც უკვე 1953 წელს იტყვის: "სახელდახელოდ ქუთაისის გარეუბანში გათენებისას მოწყობილ ნახევარ საათიან თათბირზე ახალგაზრდა გამბედავი ვაჟკაცი ვლადიმერ მანჯგალაძე გავიცანი, რომლის მარჯვენამ შესძლო პარტიის დავალების განხორციელება, როგორც ასეთი, ჩემს მიერ შექმნილ რომან "სისხლში" მისი სახელის ხსენება არ შეიძლებოდა. ეს მაშინ პოლიტიკური დანაშაული იქნებოდა (ნახსენებია ჭიათურელი მუშა). ვწუხვარ, რომ იგი ადრე გარდაიცვალა და ერთხელ კიდევ მოვიგონებ მადლიერების გრძნობით მის ვაჟკაცურ გამბედაობასა და მარჯვენას".

მწერალმა რომანში "სისხლი" საინტერესოდ აღწერა გვირაბის გაყვანის პროცესი და პატიმართა გაქცევა. დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ ვლადიმერ მანჯგალაძეს კომუნისტური პარტიის რიგებში იღებენ, ხდება ამ პარტიის პროპაგანდისტი. 1919 წელს ვლადიმერი ჭიათურიდან სამტრედიაში გადმოდის და აქ იწყებს მუშაობას. ის უკავშირდება ვალიკო გეგეშიძეს, რომლის სახლშიც მოთავსებული იყო სამტრედიის ბოლშევიკური ორგანიზაცია. აქ იკრიბებოდნენ მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, იოსებ სტალინი, ვანო სტურუა, მარიამ ორახელაშვილი, რ. კალაძე, ი. ნაყუქტარიძე, გ. შენგელია, სპირიდონ კაკაჩიშვილი და სხვები.

ვლადიმერ მანჯგალაძემ 1921 წელს მარო კოპალეიშვილზე იქორწინა. ისინი ეწერში ჯიქოურბანში დასახლდნენ. მარო რთული მშობიარობის გამო დაიღუპა მეორედ მან ცოლად თებრონე გელენიძე შეირთო. მათ 4 შვილი ეყოლათ: ავთანდილი, აბესალომი, გიორგი (გრიშა) და ლიპარიტონი (კუკური).

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვლადიმერ მანჯგალაძე მუშაობას იწყებს ზეინკლად სალოკომოტივო დეპოში. ერთგული საქმიანობისა და თავისი ადამიანური თვისებების გამო ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ის პირველი იყო, ვინც სოფლად დაწყებულ კოლექტივიზაციას შეუერთდა. კარგად ესმოდა, რა მნიშვნელოვანი იყო, ქვეყანას წერა-კითხვის მცოდნე, განათლებული თაობა ჰყოლოდა. ამიტომაც ეწერში სკოლის მშენებლობას საკუთარი ძალებითაც შეუწყო ხელი. შრომისმოყვარე ადამიანი მუდამ ფუსფუსებდა სამსახურსა და სახლში და წარმატებებსაც აღწევდა.

1934 წელს სტალინმა გვირაბის გაყვანისა და პატიმართა გაქცევის ხელშეწყობასთან დაკავშირებით ვლადიმერ მანჯგალაძე საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახა. როგორც იგონებენ, იგი სიხარულით ემზადებოდა მოსკოვში წასასვლელად, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის დროს გაციედა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

გმირობამ, რაც ვლადიმერ მანჯგალაძემ ჩაიდინა, კინემატოგრაფებს მოტივი მისცა ფილმების გადასაღებად. ასე შეიქმნა ფაქტის ამსახველი დოკუმენტური ფილმი "საკანი N64". შემდეგ რეჟისორმა სიკო დოლიძემ გადაიღო მხატვრული ფილმი "გაქცევა განთიადისას". ვლადიმერის (თეოფილეს) როლს გიორგი ქავთარაძე განასახიერებს. მიხა ცხაკაიას კი, იმედა კახიანი. ცენტრალური თუ ადგილობრივი პრესის ფურცლებზეც არაერთხელ აღინიშნა ვლადიმერ მანჯგალაძის დამსახურება.

ასეთია ამბავი კაცის, რომელიც ისტორიას კუთვნილებად იქცა.

# მურმან კაშიას ტურნირმა ნიჭიერი მათემატიკოსები გამოავლინა

ნათია ნაცვლიშვილი

*მურმან კაშია - ეს გვარ-სახელი სამტრედიის სინამდვილეში უდიდეს ნიჭიერებასთან შერწყმულ კაიკაცობას გულისხმობს. ლეგენდარული მათემატიკოსის სამტრედიელები კრძალვით და პატივისცემით იგონებენ დღესაც, გახარია, რომ მისმა ოჯახმა დაამკვიდრა მათემატიკოსის სახელობის ტურნირი, რომლის ორგანიზატორები არიან როგორც ახალგაზრდა პედაგოგები, ისე მათი უფროსი, გამოცდილი კოლეგები. ისინი ერთად ემსახურებიან ჩვენს მუნიციპალიტეტში მურმან კაშიას ხსოვნის უკვდავყოფის საქმეს.*

პირველი საჯარო სკოლა (დირექტორი ხათუნა ფაილაძე) ის სკოლაა, სადაც ამაგდარი მათემატიკოსი ასწავლიდა და აყვარებდა ამ ურთულეს საგანს ბავშვებს, სწორედ ამ სკოლამ უმასპინძლა მურმან კაშიას სახელობის მათემატიკურ ტურნირს, რომელმაც მოსწავლეთა საკმაოდ დიდი აქტიურობა აიყოლია. გამარჯვებული სამეული კლასების მიხედვით ასე გამოიყურება: მეცხრე კლასელებს შორის პირველ ადგილზე გავიდა აკო თუღუში (1-ლი საჯარო), მეორეზე – მიხეილ ნიკურაძე ამავე სკოლიდან, მესამეზე კი, ლიზი გოგაძე (მე-11 სკოლა).

მერვე კლასელებს შორის ადგილები ასე გადანაწილდა: პირველი ადგილი– იაშო გელენიძე (მე-11 სკოლა), მეორე ბარბარე მიქელაძე (მე-11 სკოლა), მესამე ადგილზე კი, მედეა ქანთარია გავიდა (მე-7 სკოლა). მეშვიდე კლასელთა შორის პირველი ადგილი სოფო ცაცუაძემ (მე-3 სკოლა).მეორე ადგილი ლილე გელენიძემ (მე-11 სკოლა). მესამე კი, თამარ ძიგუამ (მე-11 სკოლა) დაიკავეს.

გულივერ მესხი, მესამე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი: "დღევანდელი ტურნირი იყო ძალიან საინტერესო. პირველ რიგში მინდა, შესანიშნავი ადამიანი და მათემატიკოსი, მურმან კაშია დიდი პატივით მოვიგონო, დიდებული, რომ ბავშვები ასე დაინტერესებულნი არიან, ისინი ძალიან კმაყოფილნი და გახარებულნი დარჩნენ. მათი მშობლებიც, ჩვენ მათ ნამუშევრებში ვნახეთ, რომ ისინი აზროვნებენ, მათ წინ კიდევ უამრავი წარმატება ელით და როცა დაინახავენ, ისინი დარწმუნებული მუშაობისათვის წარმატებებს აღწევენ, უფრო მეტად მოიწადინებენ შრომას, იყო ნაშრომები, სადაც ყველამ ყველაფერი ვერ გააკეთა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, მათ მომავალში არ შეუძლიათ წარმატების მიღწევა. მას, ვინც დღეს ვერ გაიმარჯვა, მომავალში უამრავი წარმატება ელის.

– თქვენ იცნობდით ბატონ მურმანს, როგორი ადამიანი იყო ის?

– დიდებული ადამიანი, ძალიან კარგი მათემატიკოსი იყო, ადამიანებთან ურთიერთობაში მეგობრული, კარგი შეილები ჰყავდა, ისინი ესწრებოდნენ წინა ტურნირებს, წლეულს არ დაგვესწრნენ, ეტყობა, ვერ მოიცალეს, ძალიან დაგვაკლდა მთელ სამტრედიას, განსაკუთრებით კი, ჩვენი ქალაქის მათემატიკურ საზოგადოებას.



ქეთევან ჯაჯანიძე, მე-2 საჯარო სკოლის მენტორი პედაგოგი: "ვიტყვი, რომ ოჯახმა ძალიან კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი, ჩატარებულიყო სამტრედიაში მათემატიკის ტურნირი აპრილში ან მაისში, ყოველწლიურად საკმაოდ მეტოქეობა გამართული სარეზერვო ჯილდოებით პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულებს, გოჩა გაბუნია აკეთებს ამ ტესტებს, გონას კისერზე გადადის მთელი ეს სამუშაო, ჩვენ ვერთვით ყველაფერში და გვინდა, ახალგაზრდების დაინტერესება მათემატიკით უფრო და უფრო გაიზარდოს".

მაღვა წულაია, მესამე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი:

"ნამდვილად კარგია, რომ ასეთი ტურნირი ტარდება სამტრედიაში, მურმან კაშია იყო შესანიშნავი მათემატიკოსი და ბრწყინვალე პიროვნება, მისი ოჯახი აფინანსებს ამ ღონისძიებას, რაც მეტი ასეთი ტურნირი ჩატარდება, მით უფრო გაიზრდება ახალგაზრდების მოტივაცია და დაინტერესება მათემატიკის კუთხით, ვფიქრობ, მეტი ახალგაზრდა უნდა იყოს ჩართული, მე და გოჩა აბაშისა და ხონის მუნიციპალიტეტშიც ვიყავით, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა, აბაშის სკოლებმა ამჯამად თავი შეიკავეს, მაგრამ ვფიქრობ, მომავალში ტურნირის მასშტაბები გაიზრდება, გოჩა კიდევ სხვა ტურნირების ჩატარებას აპირებს, ვნახოთ, რამდენად გამოვა. მას კიდევ ბევრი გეგმა აქვს".

გოჩა გაბუნია, პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი:

"გულწრფელად გეტყვით, არ მეზარება და მიხარია, რასაც ვაკეთებ. ვერავის ვერასდროს ანაზღაურების სანაცვლოდ ვერ მაიძულებს ვაკეთო საქმე, რომელიც არ მომწონს, რომ მეგობრის საქმე მეფიქრება, რომ ვიღაცას და მიხარია მისი კეთება. ულრმესი მადლობა ბატონ გულივერს, ქალბატონ ქეთიკოს, მაღვას, მშვენ იმ ხალხს, ვინც ახერხებს ერთმანეთის გვერდით დგომას, მიხარია, რომ ჩვენ ამას ვახერხებთ, რომ მეგის ასეთი სამეგობრო წრე და ერთმანეთს არ ვამადლით იმ მცირე დროს, როცა შეგვიძლია გავაკეთოთ კარგი საქმე. დღეს მეოთხემეტე საჯარო სკოლამ იმძლავრა. მთავარი ისაა, რომ წლეულს მეტი მოსწავლე მონაწილეობდა, ვიდრე შარშან, სულ 50 ბავშვი. კარგია, თუ მათი რაოდენობა გაიზრდება.







## წიგნს თავისი ხიბლი აქვს...

***გადის დრო, მიდიან და მოდიან თაობები, ისინი, ვინც ჯერ კიდევ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში წიგნს ჩასჩერებოდნენ დღეს დაოჯახებულები, კვალიფიციური სპეციალისტები არიან. თვალი ყველაფერს ამჩნევს და როცა ამას წინათ საბიბლიოთეკო ღონისძიებების აქტიურ მონაწილეს, შოთა კანდელაკს, მის გვერდით მჯდომი ჩემთვის უცხო ახალგაზრდის შესახებ ვკითხე, ჩემი მეგობარია, მითხრა. საინტერესო მოსაუბრე, პიროვნება აღმოჩნდა ნაბაკეველი დავით სტურუა.***

დაიბადა 2001 წლის 5 ოქტომბერს, დაამთავრა ნაბაკევის საჯარო სკოლა, ამჟამად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტია. გეოგრაფიით დაინტერესება და შესაბამისად, სპეციალობის არჩევანი მშობლიური ნაბაკევის სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს, ქალბატონ ნათელა ხარიკაძეს უმადლის.

უყვარს პოეზია, ფეხბურთი, მართლმადიდებელი ახალგაზრდა დეკანოზ რომანოზის (ნინუა) სულიერი შვილია.

რაც შეეხება უნივერსიტეტს, გეოგრაფიის პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი უკითხავს.

"გეოგრაფია ძალზე მაინტერესებს, რაც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის კუთვნილებასთან დაკავშირებით. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საუბარი სადავო კონტექსტში გასვითარდა, მას შემდეგ კარტოგრაფიით განსაკუთრებით დავინტერესდი". – გვეუბნება დავითი და ამბობს, რომ მართალია, კომპიუტერის თაობის წარმომადგენელია, თუმცა, წიგნს მაინც თავისი ხიბლი აქვს. რასაკვირველია, ჩვენც ვეთანხმებით და ვუწონებთ პროფესიულ არჩევანს, რამეთუ საკვლევად არიან დღეს საქართველოში ცნობილი კარტოგრაფები.

ამჟამად ისიც დავგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ სწავლაში, პირად ცხოვრებაში სათნოდ მოკრძალებულ ახალგაზრდას, ვიმედოვნებთ, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდება იგი და კიდევ უფრო გააგრძელებს იმ საქვეყნო საქმეთა ჩამონათვალს, სამტრედიელებმა სტუდენტებმა რომ შეიტანეს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაში სხვადასხვა წლებში.

წარმატებები დავით!

ლევან ბაბუნაშვა

## სოფელ წიაღუბანს საპატიო სტუმრები ეწვივნენ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელი წიაღუბანი ერთ-ერთი ულამაზესია მაღალმთიან სოფლებს შორის. ეს წალკოტი მეტ ყურადღებას და თანადგომას იმსახურებს, რადგან აქ არსებულ 9 წლიან სკოლას დემოგრაფიულმა პრობლემებმა კონტინგენტი ძალიან შეუმცირა. 4 ბავშვის იმედად დარჩა საუკეთესო პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებული სკოლა.

სკოლისადმი თანადგომისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის საუკეთესო გამოვლინება იყო პროექტ "გავუზიაროთ ერთმანეთს პოეზიისა და პროზის სიყვარული!" წარმომადგენელთა სტუმრობა სკოლაში და "დედაენისადმი" მიძღვნილი ერთობლივი ღონისძიების გამართვა.

პროექტის წევრთა სტუმრობის იდეის ავტორი წიაღუბნის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ცია ოსხიკაძე იყო. პროექტის "გავუზიაროთ ერთმანეთს პროზისა და პოეზიის სიყვარული" ხელმძღვანელი ქეთევან ფოფხაძე გვეუბნება, რომ მოხიბლულია სკოლის პედაგოგიური კოლექტივით, მოსწავლეებით და დირექტორით, ქალბატონ მანანა თევზაძით, რომელმაც საოცარი ინტერესით შეხვდა სკოლაში საინტერესო სტუმრების მოწვევის და ერთობლივი საღამოს გამართვის იდეას.

პროექტის მონაწილეებმა და მასპინძელმა ბავშვებმა ერთობლივი ლამაზი ღონისძიება წარმოადგინეს სკოლის შენობის წინ შეკრებილი პუბლიკის წინაშე. სიტყვით გამოვიდნენ და მასპინძლებს მადლობა უთხრეს პოეტი ანზორ გეგუჩაძე, პოეტი ირინოლა შანიძე, ისტორიკოსი და პოეტი გალაქტიონ ხვადაგიანი, მსახიობი გიორგი ახობაძე, ქეთევან ფოფხაძე.

"ცისკიდე" – ამ სახელწოდების მოთხრობა უძღვნა კახა ნადირაძემ ამ მშვენიერ სოფელს და ამ მოთხრობით გააუკვდავა არათუ ამ სოფლის მკვიდრთა, არამედ ამ სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ადამიანური ღირსებები, ღირებულებები და ფასეულობანი. წარმატებებს ვუსურვებთ სოფელ წიაღუბანს და მის ყველა გულშემატკივარს. არასოდეს დაე, არასოდეს გამართლდეს ჯანსულ ჩარკვიანის მწარე ამონაკვნესი: "ვაითუ იდგეს ქართველი გლეხი და სოფელს ზურგში ჩასცეს მაზეგი! "

ნათია ნაცვლიშვილი



# “წვდით ამ ცოცხალ ფესვებს საქართველოისას”

ნათია ნაცვლიშვილი

*ქართულ ენა და ფესვები არწივის ფრთებად აგვისხმებიან" – გრიგოლ რობაქიძის ეს სიტყვები გაჟღერეს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში მოსწავლეებმა ღონისძიებაზე, რომელიც ქართული ენის დღეს მიეძღვნა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა ორწლიანი პანდემიის შემდეგ თავის ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა და პირველი აკადემიური ღონისძიება მოაწყო. ამ დღემ და გადაჭედილმა დარბაზმა აჩვენა, რომ კოვიდპანდემიით გამოწვეული ტაიმ-აუტის პირობებში ადამიანებს ერთმანეთთან ინტელექტუალური საუბრები ძალიან მონატრებიათ.*

*ჩვენს მუნიციპალიტეტშიც არ შეჩერებულა კულტურული ცხოვრება და ორი წიგნიც გამოიცა, ეს წიგნებიც მიმოიხილა თავის გამოსვლაში საბიბლიოთეკო ღონისძიებების მრავალწლიანმა წამყვანმა,ჩვენმა კოლეგამ, ლევან გაბეჩავამ. საღამოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.*



შეხვედრა მუნიციპალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ გახსნა. კოლეგებს და შეკრებილთ ბიბლიოთეკარის დღე – 30 აპრილი მიულოცა და აღნიშნა, რომ 2002 წელს დაწყხდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც აპრილის ბოლოდან შვიდი მაისის ჩათვლით გრძელდება, ეს ღონისძიებაც საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ტარდება. მან ასევე ისაუბრა მუნიციპალური ბიბლიოთეკის უდიდეს როლზე მომავალი თაობის წიგნიერების ამაღლების საქმეში.

ბიბლიოთეკა ის კულტურული კერაა, სადაც არაერთი თაობა დაფრთიანდა, სწორედ ახალი თაობა იხილა შეკრებილმა საზოგადოებამ, თაობა, რომელიც დიდი ნიჭიერებით, კვალიფიკაციით, თავდაჯერებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე და დამაჯერებლად თქვა თავისი სათქმელი. სამტრედიის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წარმოადგინეს მხატვრული კომპოზიცია, გაიხსენეს ერის გმირული წარსული, რომ ქართველი ერის სამი ღვთაებრივი საუნჯიდან ენა ერთ-ერთია და მასზე ჯეროვანი ზრუნვა აუცილებელია, მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველ კლასიკოსთა პოეტური მარგალიტები, აუდიტორიას საოცარი ეროვნული მუხტი გადასცეს, პატრიოტული სულისკვეთებით ჩვენს ფესვებთან დაგვაბრუნეს და გვაგრძნობინეს, რომ საქართველოს ღირსეული ცვლა მოდის. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შოთა და ანამელა კანდელაკები (მე-11 საჯარო სკოლა), მესო კახიანი (ეწრის საჯარო), ცისია ჯანელიძე (მესამე საჯარო), ელენე ჩუბინიძე (მე-11 საჯარო) თამარ ძაგუა (მე-11 საჯარო), მარიამ სიკვაიძე (მეთერთმეტე საჯარო), გიორგი ცომაია (კულაშის საჯარო), ნიკოლოზ და ბარბარე ნიკურაძეები (ჯიხაიშის გ. ნიკოლაძის სახელობის სკოლა), ანანო თავართქილაძე (მესამე საჯარო), დემეტრე ქანთარია (მე-11 საჯარო) ირაკლი კიკვაძე (ნიგოზეთის საჯარო) და ამირან მეფარიშვილი. შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა, გოგა და გიორგი შაკაიებმა შესანიშნავად შეასრულეს ქართული სიმღერები (ქუდაგოგი მერი ტაკაცრია).

ლევან გაბეჩავა: საქართველოში 2022 წლის 9 მაისს იწყება ევროპის დღეები, საქართველო მალე უნდა გაწევრიანდეს ევროსტრუქტურებში, როცა მსოფლიო რუკაზე სახელმწიფოები მონიშნულიც არ იყო, ქართველი მეფეების მახვილის წინაშე უძლეველი იმპერიები მუხლს იდრეკდნენ. დღეს ევროსტრუქტურები პოლიტიკაში მეტი ქალის ყოფნისკენ მოგვიწოდებენ. ჩვენს ისტორიაში ქალის როლი ყოველთვის იყო წინა პლანზე წამოწეული, 1918 წელს არჩეულ უზენაეს საბჭოში ქალები გვყავდა, უნივერსიტეტი რომ გაიხსნა, პირველი სტუდენტები ქართველ გოგონაზე, მერი ამირეჯიბზე გაიცა. ესაა ქვეყანა, სადაც ძეგლი დაუდგეს "დედაენას". 1978 წელს, როცა სახელმწიფო ენად ქართულის შენარჩუნების საკითხი წყდებოდა, 90 წელს მიღწეული ქართველი ენათმეცნიერების მამამთავარი და პატრიარქი, აკაკი შანიძე წინ მიუძღოდა ენის დამცველ ახალ თაობას და ენა გადარჩა. ამიტომ, ევროპაში შესვლით უდიდესი ისტორიის მქონე ქართველებმა ჩვენი იდენტობა,





ეროვნული თვითმყოფადობა უნდა შევინარჩუნოთ".

ლევან გაბეჩავა დარბაზში მყოფ პოეტ მაყვალა ჩირგაძეს მიესალმა, 70 წლის იუბილე მიულოცა და მისი შესანიშნავი ლექსებიდან ციტატები მოიყვანა, განსაკუთრებული ყურადღება ქალბატონი ნათელა გელეიშვილის მიერ ახლახან გამოცემულ ლექსების წიგნზე გაამახვილა, რომლიდანაც სამტრედიელებისთვის საყვარელმა ქალბატონმა საოცარი ემოციით დაწერილი ლექსები წაგვიკითხა და აუდიტორია მოხიბლა. ქალბატონი ნათელასთვის ლექსის მუზა და შთაგონება მისი პატარა ქალაქია, სადაც სიყვარულით განვლო რამდენიმე ათეული წელი, სწორედ ძველ სამტრედიას და სამტრედიის ღირსეულ ადამიანებს ეძღვნება მისი ლამაზი ლექსები.

ლევან გაბეჩავამ მადლობა ბატონ გია ბოჭორიშვილს პანდემიის დროს დაწერილი წიგნისთვის გადაუხადა, თან ამ წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ექიმმა ქეთევან კახიანმა და საკრებულოს წევრმა, ტარიელ დვალიშვილმა მადლობა გადაუხადეს ნათელა გელეიშვილს და მაყვალა ჩირგაძეს საუკეთესო ლექსებისათვის. თავის მხრივ, ქალბატონმა ნათელამ ყურადღება დარბაზში მყოფ ინტელიგენტის, სამტრედიელებისთვის კარგად ცნობილი გია ბოჭორიშვილის წიგნისადმი გაამახვილა და მას მადლობა გადაუხადა საინტერესო ნაშრომისათვის.

წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგემ, რუსუდან კახიანმა და ქართველ პოეტთა შესანიშნავი გამონათქვამები გაგვახსენა ენაზე, ის ასევე მიესალმა კოლეგებს, რომლებიც მრავალი წელია ღირსეულად ემსახურებიან საბიბლიოთეკო საქმეს და ახალგაზრდებს წიგნისკენ მიმავალ გზას უკვალავენ.

მწერალ ალექსანდრე ლორიას გულთბილი მოკითხვა, რომელიც სამტრედიელებს გამოუგზავნა, სოფო ჩიქოვანმა წაიკითხა. საქართველოს გარეთ არსებულ ქართველოლოგიურ ცენტრებზე ისაუბრა სტუმარმა, სტუდენტმა ბენიამინ ახატურიანმა. მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე იმ ადამიანთა წრეშია, საბიბლიოთეკო ღონისძიებებს რომ არ აკლდება. მან მრავლისმეტყველი უწოდა იმდღევანდელ ღონისძიებას და მოუწოდა მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებს, მეტი მსგავსი ღონისძიება გამართონ, რადგან არაფორმალური განათლება ხელს უწყობს სასწავლო პროცესს და ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას.

საღამოს წამყვანმა ქართული ლიტერატურის მომავალ თაობაში პოპულარიზაციის გამო მადლობა გადაუხადა ქეკიანა ფოფხაძეს, რომელიც თავისი პროექტის ფარგლებში არაერთ საინტერესო შეხვედრას მართავს.

საღამოზე გაისმა უკრაინის ჰიმნი და წუთიერი დუმილით პატივი სცეს უკრაინაში გარდაცვლილი უდანაშაულო ადამიანების ხსოვნას.

ღონისძიება შეაფასა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, გიორგი მეიშვილმა: "გილოცავთ აღდგომისა და გიორგობის დღესასწაულებს, გილოცავთ ბიბლიოთეკარის პროფესიულ დღესასწაულს. მადლობას გიხდით ამ საღამოსათვის, განსაკუთრებით კი ბავშვებს. ეს ძალიან კარგი ღონისძიებაა, ბიბლიოთეკა მრავალი წელია ემსახურება საქმეს, აღზრდის წიგნიერ თაობებს, ბატონ ლევან მახტაძეს არ ეცალა, თორემ აქ აუცილებლად იქნებოდა. მუნიციპალიტეტი ყოველთვის



მზადაა, თქვენს ყველა კარგ ნაბიჯს მხარდაჭერა გამოუცხადოს."

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნათია პაპავა:

"გფარავდეთ წმინდა გიორგი, დღეს ხომ გიორგობაა, მადლობელი ვარ, რომ ბევრი საუკეთესო ახალგაზრდა ვიხილე დღეს აქ, რომლებმაც ქართული სული გააცოცხლეს, კიდევ ბევრ ასეთ საინტერესო დღეს გისურვებთ".

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი მაყვალა ჩირგაძე და გია ბოჭორიშვილი მიესალმნენ აუდიტორიას და წარმატებები უსურვეს ახალ თაობას, თავიანთი აღფრთოვანება გამოხატეს ღონისძიების მიმართ ასევე ტარიელ დვალიშვილმა და გიგასტი ბიბილეიშვილმა.

საკრებულოს წევრი, კობა ძიძიგური: "დიდი სიამოვნებით და სიყვარულით დავესწრეთ, როცა ვუსმენდით მოსწავლეთა გამოსვლებს, ეს გმირული წარსულიც ჩვენია და სამწუხაროდ. ის გენეტიკაც ჩვენია, ასე რომ გვაბრძოლებს ერთისთან".

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი პოეტის, მთარგმნელისა და ფილოსოფოსის, ბასიანა ნაზარაძის დედამ, მეორე საჯარო სკოლის პედაგოგმა გულიკო ნაზარაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ ლაროშელში ბასიანა ნაზარაძემ ფრანგებს ფრანგულ სკოლაში საქართველოზე ლექციაც წაუკითხა და ქართული ენაც გააცნო".

– ამ ბიბლიოთეკის კედლებში გავიზარდე. მახსენდება აქ წიგნებში თავჩარგული გენო გეგეშიძე, თამარ შანიძე. ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს გია ბოჭორიშვილი, რომელმაც საუკეთესო წიგნი გამოსცა ახლახან, მინდა, ხშირად მოხვიდეთ აქ, ახალგაზრდებო, იმეგობროთ წიგნთან, რადგან წიგნია უღალატო მეგობარი" – მიმართა ახალგაზრდებს ქეკიანა ფოფხაძემ და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა გაწეული ღვაწლისათვის. ღონისძიების მომზადებაში აქტიური წვლილი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელს, რუსუდან კახიანს და ანალიტიკური განყოფილების გამგეს, იზაბელა ლეჟავაშვილს მიუძღვის.

# "უკრაინაში დავიბადე და აქ გავიზარდე"

ნათია ნაცვლიშვილი

*რუსლან ხლინოვსკი სამტრედიაში მოღვაწე მხატვარია, უკრაინაში დაბადებული და დედით უკრაინელი. ბავშვობაში ხშირად სტუმრობდა უკრაინელ ბებიას, იქაც სოფელში თბილისის ქუჩაზე ცხოვრობდა. მისი მამა სამტრედიაში წლების წინ ჩამოვიდა, როცა ბამბის სართავ ფაბრიკაში მხატვარ-დიზაინერის საჭიროება გაჩნდა. მამა ვიტალი ხლინოვსკი პროფესიით მხატვარი იყო, ხატმწერიც, 2019 წელს გარდაიცვალა, შვილმა მამის დატოვებული სამუშაო დაასრულა და ყველა ხატი დაწერა.*

_ სამტრედიაში როგორ აღმოჩნდით?

_ სამტრედიაში მამაჩემი გამოიძახეს უკრაინიდან, 1975 წელს ჩამოვიდა, მამა ბამბის სართავ ფაბრიკაშიც და ხის დამმუშავებელ კომბინატშიც საკონსერვო ქარხანაშიც დიზაინერად მუშაობდა. მან დედა აქ გაიცნო, დედა ჩემზე ფეხმძიმე წავიდა უკრაინაში, ქალაქ ხერსონეში, 1983 წელს, სადაც იმშობიარა, ერთი თვის შემდეგ ისევ აქ დაბრუნდა. იქ დავიბადე და აქ გავიზარდე.

**– რას ამბობენ თქვენი მშობლები, საქართველო იმდენად შეუყვარდათ, არ დაბრუნდნენ უკან, უკრაინაში?**

– დიახ, კარგად მიიღეს ქართველებმა, მოეწონდათ საქართველო, მუშაობდნენ და გვზრდიდნენ შვილებს. ჩემმა დამ ვერონიკამ და მე რუსული სკოლა დავასრულეთ.

**– ხატვის ნიჭი, ალბათ, ადრიდანვე გქონდათ?**

– მეოთხე კლასში ვიყავი, რომ შემიყვანეს სამტრედიის სამხატვრო სკოლაში, ოთხი წელი ვისწავლე, დავამთავრე სკოლა 2000 წელს, ნავაბარე თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის სამტრედიის ფილიალში, პროფესიით არ მიმუშავია, ისე კი მომიწია მუშაობა „ფუძლად გზაყნილებში" ბოლოს პოლიეთილენების ფაბრიკაში, „იმერეთი გრინვეიში" ვიმუშავე ტექნიკოსად. სამწუხაროდ წარმოება ახლა გაჩერდა, პოლიეთილენები წავიდნენ.

**– ვინ გირჩიათ ხატვას გაჰყოლოდით?**

– მამამ, მამა ვიტალი ხლინოვსკი ხატმწერიც იყო. მისი დაწერილი ხატები სამტრედიაშიც არის და სხვა მუნიციპალიტეტებშიც. მე ძირითადად პორტრეტსა და პეიზაჟზე ვმუშაობ. ლოცვა-კურთხევა ავიღე ჩემი მოძღვრისგან და დავასრულე ის ხატები, რომლებიც მამამ დაიწყო და ვერ დაასრულა. ხელოვნად უნდა იყო სათმისოდ განწყობილი. პატარაობიდანვე მიყვარდა ხატვა. ბავშვობისას ვხატავდი გუაშით, აკვარელით, მიყვარდა პეიზაჟები, ძირითადად ზამთრის, ასევე ვარდების ხატვა. კლასში გაკვეთილებზე ხულ ვხატავდი, ხულ ფურცლები მეწყო, მე-6-7 კლასებში, დავიწყე აქტიური ხატვა, კონკუშინკაი კარატეზე შემიყვანეს, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე. სხვათა შორის, ბებიაჩემი, მამის დედაც ხატავდა, ქორგავდა შესანიშნავად. კრასნოდარსკში, მხატვრებს შორის კონკურსზე ქორგვაში პირველი ადგილი აიღო, მოქარგა ნახატი სახელწოდებით "მთვარიანი ღამე" .

**– რატომ არ ხართ იმერეთის მხატვართა კავშირის წევრი?**

– არ მრჩება გამოფენის დრო, ძირითადად შეკვეთებზე ვმუშაობ, ერთმა თბილისელმა მხატვარმაც შემომთავაზა გამოფენის გამართვა, უკრაინიდანაც მქონდა შემოთავაზება, ინტერნეტით ბევრ მხატვარს ვიცნობ, მაგრამ დღემდე გამოფენის მოწყობა ვერ შევძელი. ჩემ ფეისბუქგვერდზე ყველა ჩემი ნამუშევარი დევს.

**_ ვინ გიკვეთავთ ნამუშევრებს? პატარა მუნიციპალიტეტის მკვიდრმა მხატვარმა შეიძლება თავისი პროფესიით ირჩინოს ღლეს თავი?**

– ეს ძნელია, მაგრამ ჩემი მეუღლე მუშაობს, ვხატავდი და ვხატავ ფანქრით და ზეთის საღებავებით, ვხატავ პეიზაჟებს, უმეტესად ვმუშაობ ზეთში და ფანქარშიც, სახლში ნამუშევარი ალიან ცოტა მაქვს, რადგან როგორც გითხარით, შეკვეთებზე



ვმუშაობ, მიყვარს ძირითადად პორტრეტების, ასევე პეიზაჟებისაც.

**– თქვენი საყვარელი მიმდინარეობა და მხატვარი...**

– მიყვარს ზამთრის პეიზაჟების ხატვა. მხატვრებიდან შიშკინი და რემბრანტი. სოთქმელის რეალური გადმოცემა აქვს ორივეს, რეალისტურ ხედვას ვანიჭებ უპირატესობას, ნუ, ამ მხატვრებს აქვთ ნამუშევრები, რეალობას რომ არ შეესაბამება და უფრო ფანტასტიკურია..

**– როდის მოდის თქვენი შემოქმედებითი მუზა?**

– მუზას რაც შეეხება, მჯობდება ხარუმე და მარტოობა, რადგან ბავშვები სახლში არიან, მიწევს გვიანობამდე მუშაობაც, თუმცა დამით ვერ ვიმუშავებ ხარისხიან პროდუქციას ვერ შექმნი, არც მხედველობისთვის არის რეკომენდებული.

**– უკრაინის ომის თემას მიუძღვენით რამე?**

– ჯერ არაფერი მიმიძღვნია, ამ ყველაფრის გამო გული შემტკივა, განვიცდი, მაგრამ მე ხელოვნების არ ვუკავშირებ პოლიტიკას.

**– ძალიან უამბიციო ხართ, ჯანსადი ამბიცია არ არის საჭირო, თუნდაც ერთი გამოფენა გამართოთ და შემოქმედება საზოგადოებას გააცნოთ?**

– გამოფენასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ნამუშევრები სახლში არ მრჩება, რადგან ძირითადად შეკვეთებზე ვმუშაობ, დრო არ მაქვს, ჩემი ნამუშევრები მიაქვთ დიდ ბრიტანეთში, ბელარუსში, უკრაინაში.

**_ პანდემიის პერიოდში პროდუქტიული იყავით?**

_ ამ პერიოდში სახლში ვიყავი და კარგად ვიმუშავე.

**_ მეუღლე, ალბათ, ხელს გიწყობთ შემოქმედებით საქმიანობაში?**

– მეუღლე ,ხათუნა ახანიძე, პროფესიით მედდაა, ჩემი კარგი მრჩეველია, ნამუშევრებს მიფასებს, რჩევას მაძლევს. ის ერთ-ერთი მაღაზიის კონსულტანტია, გვყავს შვილები დანიელი და დემეტრე. მეუღლე წარმოშობით ჭიათურელია, ძალიან მიყვარს იქაურობა, ჭიათურაში ულამაზესი ხედებია, ფანქარში მაქვს შესრულებული. უამრავი პეიზაჟი მაქვს დახატული.

**_ იქაური პეიზაჟი მეტი დაგიხატავთ თუ სამტრედიის?**

_ რა თქმა უნდა, სამტრედიის, როცა სამხატვრო სკოლაში ვსწავლობდით, გავდიოდით ქალაქში და ვხატავდით პეიზაჟებს

**_ ერთი გამოფენის სურვილი როგორ არ გაგიჩნდათ მშობლიურ ქალაქში?**

_ იმედია, როდესმე გავმართავ, ამის სურვილი მაქვს, თუ სახატი ცოტაა, რამდენიმე ადამიანის ერთობლივი გამოფენა თუ მოეწყო, მასში მონაწილეობა უფრო ადვილი იქნება!









# “მოდი და შენი დილა მაჩუქე”

*შალვა ჩიტიშვილი — ეს სახელი და გვარი დღემდე კარგად ახსოვთ სამტრედიაში, ადამიანი, რომელიც ადრეულ ასაკში წავიდა ამქვეყნიდან, დატოვა ძვირფასი ოჯახი, მეუღლე ნინუზა გორდულაძე-ჩიტიშვილი და ორი ქალიშვილი — ბორენა და ნინარა ჩიტიშვილები. მეუღლე, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. საუკეთესო მამის მოგონებას შვილები სათუთად ინახავენ.*

*სამტრედიაში შალვა ჩიტიშვილს დღემდე იხსენებენ, რადგან ძნელია დაივიწყო ის პიროვნება, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას მიუძღვნა. ის იყო დისიდენტი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადასახლებული ციმბირში, კოსტრომის ოლქში საქართველოში ქსნის კოლონიაში, როგორც პატიმარმა, სამი წელი დაჰყო. შალვა ჩიტიშვილი აქტიურად ებრძოდა მაშინდელ რეჟიმს რაც აისახა კიდეც მის ჯანმრთელობაზე. კოსტრომაში ტუბერკულოზი დაემართა, რაც მოგვიანებით, შალვა ჩიტიშვილის გარდაცვალების მიზეზი გახდა.*

*განსხვავებულ აზროვნებას და მიზანსწრაფულობას შალვა ჩიტიშვილი თავის პოეზიაში ასახავდა. სამშობლოს, ოჯახისა და მეგობრების სიყვარულს ლექსის სტრიქონებში დებდა, რომელიც დღესაც კი ახსოვთ ზეპირად მის სამეგობრო წრეში.*

*17 მაისს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება. გაზეთი "სამტრედიის მაცნე" იხსენებს ღირსეულ ადამიანს და მკითხველს მისი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსს სთავაზობს.*

ნინო ნანიტაშვილი



შალვა ჩიტიშვილი

დღეები

მე ახლა შენი ღიმილი მინდა,
მოდი და შენი დილა მაჩუქე.
დღე, დღევანდელი დაიწყო მშვიდად
დღე, დღევანდელი მთავრდება უკვე.
ფიქრები ხვალის კარებს ამტვრევენ
და იმედებით მაღლდება კაცი.
დღეები, რასაც ჩუმად გვართმევენ,
მხოლოდ დღის ბოლოს ედება ფასი.

***

ვით მეგობარი დამემგზავრა
ბილიკზე მთვარე.
რად დამემგზავრა?
დედამიწა ხომ არ ეგონივარ?

მე იებს ვკრებ
და ბუჩქებში ვაცეცებ თვალებს...
მთვარის კი არა,
მე იების თანატოლი ვარ.

მუხა

ჩახუტებია კოდალა მუხას
და უშუშდება მუხას იარა,
უკვე არ სწუხან...
უკვე არ სწუხან...
მზემ ტყეს ღიმილით გადაუარა.
და მის ღიმილში მე ვიცან შენი
სიყვარული და სიცოცხლით მზერა.
მოდი და გულზე დამადე ხელი,
მეც მუხასავით მჭირდება შველა.

გ. ტაბიძეს

რიონი ღრუბლებს ზეცაში მიაქვს
და ქარი ჰყვება უცნაურ ამბავს.
თუ დღეს ყველაფერს წარსული ჰქვია,
მითხარ, რა ჰქვია შენს იასამანს?
ახლა სამოცდახუთია წელი,
ახლა საათის სრული ათია,
ფაფარაშლილი მოგელავს ცხენი,
ორპირში ფლოქვთა ცეცხლი ანთია,
ზეციდან ხმები ქუხება წვიმად,
იასამნებით ყვავის ფშანები
ქარი ქრის...
ატმებს ყვავილი ცვივა
და სამრეკლოში სდუმან ზარები.

ალავერდი

შენ ალავერდი მოხვედი ჩემთან
და ჩამიწურე ხელში იმედი.
შენს ლამაზ მზესთან,
შენს ამაყ მზესთან
მოკრძალებული ლექსით მოვედი.
და აცხებული დიდი სინათლით,
ვაალერსები შენს ცვრიან დილას,
შენი მზე ისევ ღიმილით დადის
გულში, რომელიც უშენოდ მტკივა.
და მე ვიზრდები...
და მე ვიზრდები...
როგორც ჯეჯილი იზრდება მზეში,
შენში ცოცხლობენ ჩემი ფიქრები,
შენი ფიქრები ცოცხლობენ ჩემში.

ტერენტი გრანელს

ახლა აპრილის ოცდაათია
გულზე ხელები არ დამიწყვია,
არ გამქცევია უფსკრულში თვალი.
ვიცი, ტირილი ძნელზე ძნელია
და უფრო ძნელი ღიმილი, ტერენტ.
მე გეუბნები, როგორც ჩემიანს
და გართმევ მიწით გათხუპნულ ხელებს.
შენა ხარ გრძნობა...
შენა ხარ აზრი
და მიტომ გლოცავ
და მიტომ გეტრფი,
ფრთებზე ლამაზი ოცნება გაქვს
და ხარ სიმღერად მოსული ღმერთი.
ნუ გამიმტყუნებ კაცობას ჩემსას,
მეც მინდა ვზიდო მამულის ტვირთი,
მეც მინდა შენი მეგალე მერქვას,
ვისულდგმულო და ვიცოცხლო შენით.

## მინიმები

***

ისე გათენდა, ნაქარალი, ზეცა წითელი,
თითქოს ტუჩებით ზედ მიხატულს გავს შენს ნაკოცნებს,
ეს ოცრობოლორო მთიანები ჩემი ქვეყნისა
როგორ მაგონებს მამაჩემის სახის ნაოჭებს...
ისე გათენდა, ნაქარალი, ზეცა წითელი...

***

სასაფლაოზე მოწყენილა თეთრი ყვავილი.
ისეთი თეთრი, ისეთი თეთრი, ისეთი თეთრი,
დედაჩემის ფიქრი მგონია...

***

ბებოს მაგონებს ოდის გვერდით
პატარა სახლი,
თეთრ თავსაფრით და ოდნავ ღიმილით.
მე კი შიგ ვცხოვრობ, თითქოს ბებოში,
მახსოვს ჩემზე თბილი ფიქრივით.
ბებოს მაგონებს ოდის გვერდით
პატარა სახლი...

### ომი

ისვრიან ქვემეხებს, მოარტყეს წვიმას
და უკვე ციდან მკვდარი წვიმა
ჩამოვარდა...

***

ისე დინჯად მოდის თოვლი, თითქოს ნელ-ნელა მოდიოდნენ მზის პანაშვიდზე...

***

ეს მოხუცივით შემოდგომა ჩამოდის ხიდან,
და ფეხებიდან უვარდება დახეული ქალამნები...

***

ეზოს ბოლოს ამოსულა იები,
ლურჯთვალა და გაზაფხულის ფიფქები.
რაღაც უცხო, უთქმელ ხმათა ფიქრები.
ჩემი ლურჯი იები.
ავდარმაც რომ შემოასხა დილები,
ჩრდილის ჩოხას ჩამოუწყო ქილებით...
შორიახლოს ჩემს უდღეურ სიდეებით
დედის ლოცვას მიეკითხებოდნენ იები...

***

ალიონი. პეპლებით დაჭერილი ციცქნა ლექსი
წუთისოფელზე...

***

სასაფლაოზე ამოსულა თეთრი ყვავილი,
მარტო რომ დარჩა მოწყენილი
დედაჩემის ფიქრი მგონია.

ეთეილე თოფურია

## სიმაღლეზე ცხოვრება ინსულტისგან გიცავთ

შეიძლება თუ არა, რომ ზღვის დონიდან მაღალ სიმაღლეზე ცხოვრებამ ინსულტის ალბათობაზე გავლენა მოახდინოს? ეს კითხვა ახალი კვლევის საფუძველი გახდა, რომლის შედეგებიც ჟურნალში Frnoitres in Phsyoiolgy გამოქვეყნდა. ეს პირველი კვლევაა, რომელმაც ეკვადორის ოთხ სხვადასხვა სიმაღლეზე მცხოვრებ ადამიანებში ინსულტთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის და გარდაცვალების სიხშირე შეისწავლა.

კვლევა 17 წლის განმავლობაში 100 ათასზე მეტი ინსულტ გადატანილი პაციენტის მონაცემებს ეყრდნობა. კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანებს, რომლებიც სიმაღლეზე ცხოვრობენ, ინსულტის და მასთან დაკავშირებული სიკვდილის დაბალი რისკი აქვთ. დამცავი ეფექტი 2000-დან 3500 მეტრ სიმაღლეზე ყველაზე ძლიერია.

მკვლევარებმა ქვეყნის სამედიცინო ჩანაწერები შეისწავლეს და ინსულტით გარდაცვალების და ჰოსპიტალიზაციის დონე შეადარეს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც სხვადასხვა სიმაღლეზე ცხოვრობენ: დაბალი სიმაღლე (1050 მეტრზე ნაკლები), ზომიერი სიმაღლე (1050-5200მ), მაღალი სიმაღლე (2050-5300მ) და ძალიან მაღალი სიმაღლე (3500-5050მ).

შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც სიმაღლეზე (2050 მეტრს ზემოთ) ცხოვრობენ, ინსულტი ახალგაზრდობაში ნაკლებად აწუხებდათ იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც უფრო დაბალ სიმაღლეზე ცხოვრობდნენ. საინტერესოა, რომ ადამიანებში, რომლებიც სიმაღლეზე ცხოვრობენ, ჰოსპიტალიზაციის და სიკვდილიანობის შემთხვევაშიც მცირე იყო. ეს დამცავი ეფექტი ყველაზე ძლიერი 2000 და 3500 მეტრს შორის და 3500 მეტრზე მაღლა იყო.

მიოდრაგ დრაჟა მილანოვიჩი

# დამპალი წიფელი

როცა თავჩაღუნული დავდიოდი და ვუყურებდი მიწას, ბეტონს და ასფალტს, ყველაფერს ვხედავდი. თვალი ყოველგვარ ხარახურას აღიქვამდა – კარგს თუ ცუდს, საჭიროს თუ არასაჭიროს, ხასიათიანს თუ ამაზრზენს.

თავაწეულს ხალხისას კი უმეტესად ცის ლაჟვარდი და ლამაზი ქულა ღრუბლები ატკბობდა მზერას. ადამიანებს შორისაც საგრძნობი განსხვავება იყო. დავაკვირდი: თავაწეულს და ცისკენ მაყურებელს თითქმის ყველა მესალმებოდა (რა თქმა უნდა, ნაცნობები). თავჩაღუნული კი ვამჩნევდი, რომ ადამიანები თავს არიდებდნენ ერთმანეთს, იქცეოდნენ პრინციპით: მე მათ ვერ ვხედავ – ისინი მე ვერ მხედავენ.

ამგვარი ცნობისმოყვარეობის იმედით შეკითხვაზე: „როგორ ხარ?" ჩვეულებრივ ვპასუხობდი: „უფრო და უფრო ცუდად!" ამას მოჰყვებოდა ხოლმე ყალბი თანაგრძნობით გაჯერებული გულისამრევი კითხვები: „ავად ხარ? დაბერდი? მეტი არ შეგიძლია?" და კიდევ რაღაც ამის მსგავსი. თანაც, ვინ როგორი ინტონაციით, მინიშნებით და სახის მიმიკით გამოხატავდა ამ კითხვებს, ეს კიდევ სხვა საკითხია. ასეთ ხალხთან ლაპარაკში შეყოლა აზრს კარგავდა და მე სასწრაფოდ ვცილდებოდი მათ. თავს კიდევ უფრო დაბლა ვხრიდი, თითქოს მიწაში ცხვირის ჩარგვა მინდოდა.

ერთხელ „რგოლოვანი ჭიაყელა" დავინახე. მოხოხავდა გველივით წამოწეული თავით, ყელყელაობდა, მაგრამ როგორც კი ჩემი ხელჯოხის საეჭვო მოძრაობა შეამჩნია, იგრძნო მოსალოდნელი საშიშროება, სწრაფად შებრუნდა და მოკურცხლა უკან.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გადავაწყდი თავაწეულ ხალხს და ისევ წამოვიდა შავი იუმორით ნაზავი ხუმრობა-შენიშვნები: „რა აგიღერია თავი, კიბოს წამალი გამოიგონე? თუ დიდი ჯეკპოტი მოხსენი? თუ იშიაზმა გაგაწიწინა და ვერ იხრები? თუ ყელსახვევი გიჭერს და კისერს ვერ ანძრევ?" მოკლედ, ხალხს არ უნდა წაიღო თავი, ყველას მოსაწონს ადგილს მაინც ვერ მოუძებნი.

თავჩაღუნული შევედი მაღაზიაში. გამყიდველების არავითარი ყურადღება არ მოუქცევიათ. მალე გამოვედი და ქუჩას გავუყევი. უცებ გაისმა მანქანების მუხრუჭების საშინელი ღრჭიალის ხმა და გინება. ინსტინქტურად გადავხტი ტროტუარისკენ.

გადახტომის დროს ჯიბიდან საფულე ამომივარდა, მაშინვე არ მიცდია მისი აღება. ვიდექი და დავჩერებოდი – ერთი გაცოდავებული, ძველი, გაქექილი, თანაც ცარიელი საფულე იყო.

– შენი საფულეა? – მკითხა ერთმა გამვლელმა. მე თავი დავუქნიე.

– მერე, რატომ არ აიღებ?

– ველოდები, იქნებ რაიმე სახეირო მოხვდეს შიგ – ვუპასუხე ხუმრობით.

– წამიერად შეცბა და მერე:

– ჰო, უცადე, აბა, რა! სხვა თუ არაფერი ხოჭო ან ჭია მაინც შებოდიალდება, მიმახალა და ჩემი უხეირო ხუმრობით გაბრაზებულმა გზა განაგრძო.

საფულე ავიღე, ხელისგულით დავბერტყე, შებერვით მტვერი მოვაცილე და პატარა ჯიბეში ჩავიდე.

სახლში მისულმა საფულე მაგიდაზე დავაგდე და იქიდან ჩემი მუდმივმოქმედიანი წითელი პირადობის მოწმობა გამოვარდა. ფოტოდან ჩემი გაღიმებული სახე მიყურებდა. მე წინა, მოკლევადიანი მოწმობა მერჩია. იქ სახე 20 წლით ახალგაზრდა იყო.

უბის წიგნაკი მოვძებნე, მაგიდაზე არ იყო, არც უჯრებში აღმოჩნდა. კარადაში შეკიდებული ტანსაცმლის ჯიბეებში გადავქექე და ერთ-ერთი ძველი პიჯაკის ჯიბეში წავაწყდი არა წიგნაკს, არამედ 1993 წელს გამოშვებულ მილიონი ნომინალის მქონე ქაღალდის კუპონებს. პატარა ჯიბეში ერთი ცალი ლითონის გერმანული მარკაც ჩარჩენილიყო.

საფოსტო მარკები მიყვარს, მაგრამ გერმანული ფულის ერთეული მარკა მაინცდამაინც არ მაინტერესებდა. თუმცა მახსოვს წლები, როცა ხამ მარკად მიყიდი თავს გამქონდა თავი.

საღამოს დროზე დავწექი, რომ დილით ადრე ავმდგარიყავი, რადგან ხალხი ტყუილად არ ამბობს: „ვინც ადრე დგება, ორ ბედს იჭერსო". მე ერთზეც თანახმა ვიქნებოდი...

რადიოს დილის პროგრამის პირველი ინფორმაციები მეტად არასასიამოვნო იყო: „სასტიკი შეტევები ფრონტის ხაზზე... ვალუტის კურსის სწრაფი ზრდა... მძიმე საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები... მხოლოდ ამინდის პროგნოზი იყო იმედიანი...

ადრიანად მივაშურე ახლომდებარე წიფლის ტყეს. ფეხქვეშ დამტვრეული ფიჩხის ტკაცუნი და ჩამოცვენილი ფოთლების შრიალის ხმა ისმოდა. ხმელ ტოტებს ვამტვრევდი და ვაგროვებდი ღუმელის დასანთებად, იმ შემთხვევაში, თუ



პროფკავშირები შეშას გამოიმეტებდა.

ხიდან ხესთან გადავდიოდი და ბოლოს ერთ წიფლის ხეს შემოვხვიე ხელები, ისე რომ ჩემი თითები ერთმანეთს შეხებოდა.

გადმოდი ჩემში, ძალავ, გადმოდი ძალავ, წიფლიდან მაინც!

ლოცვის დროს წამით ცისკენ ავიხედე და ხეზე დავინახე მეტყევეების ნიშანი: დამპალია!

ბედი არ გინდა?! ტყეში უამრავი ხეა წიფელია და მე მაინცდამაინც დამპალს ჩავეხუტე!..

აქეთ დამპალი წიფელი, იქით გუგულმა დაიწყო მოთქმა და ტირილი – წლების ათვლა!

ესეც შენი ორი ბედნიერება!

დაუჯერე ამის მერე ხალხის ნათქვამს...

სერბულიდან თარგმნა
თემურ პირველმა

## დაუვიწყარი გოლი

ოჩამჩირელმა 23 წლის ქართველმა ფეხბურთელმა ვიტალი დარასელიამ 1981 წლის 13 მაისს შორეული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დიუსელდორფში „რაინშტადიონის" სტადიონზე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის „კარლ ცაისის" ფეხბურთელთა გუნდის ახოვანი მეკარის გრაპენტინის კარში ისეთი მაღალოსტატურად შესრულებული მეორე გადამწყვეტი გოლი გაიტანა, შეხვედრის 87-ე წუთზე, როცა ანგარიში თანაბარი იყო 1:1.

ამ გამარჯვებით თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა (მთავარი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი) თავის სახელოვან ისტორიაში იმ დროისათვის მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებას და დაეუფლა თასების მფლობელთა თასს.

მას შემდეგ ასეთი მსგავსი წრმატებისათვის ქართული ფეხბურთის ფლაგმანს თბილისის „დინამოს" არ მიუღწევია.

ამ ისტორიული გამარჯვებიდან 41 წელი გავიდა.

იორამ ნიკოლეიშვილი

## მიხეილ ნიკოლეიშვილის გახსენება



ცოტაც და წელი მიილევა შენი გარდაცვალებიდან.

74 წელი მოგილოცეთ შარშან და მალე შენი გარდაცვალების სამწუხარო ამბავიც შევიტყვეთ. 75-ის გახდებოდი. კაცური კაცის სახელით განვლე არცთუ განებივრებული ცხოვრება. შენი ხელწერა დატოვე ყველგან, სადაც კი იმუშავე.

ლამაზ ფურცლად ჩაიკეცა „სამტრედიის მაცნეს" ისტორიაში შენი რედაქტორობის ხანა. სიძნელეებთან უშიშარი და უდრეკი, საოცრად ოპტიმისტი, ნიჭიერი მენეჯერი და კარგი მეგობარი. შორს იყო შენგან ღალატი. გაბრაზებას თუ სიფიცხეს მოულოდნელი სიმშვიდითა და კეთილშობილებით ანაცვლებდი. ნათელში იყავი, ჩემო უფროსო მეგობარო. შენს დიდ ოჯახთან ერთად ჩვენც ისევ გვახსოვხარ და შენი სულის უკვდავებას ვთხოვთ უფალს.

ლევან ბაბიჩაძე

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს კიკარეიშვილების ოჯახს
ბექა კიკარეიშვილის
გარდაცვალების გამო.

მაყვალა წირგაძე ოჯახით დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს ბიბინეიშვილების ოჯახს უაღრესად კეთილშობილი პიროვნების, უზადო მეგობრის
ელგუჯა ბიბინეიშვილის
გარდაცვალების გამო.

„სახლი თანადგომის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელენე ბოხუას მამის, ბატონი
ჯემალის
გარდაცვალების გამო.

მზეკინარ ბოხუა და ნანული კაკაბიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ელენე ბოხუას მამის, ბატონი
ჯემალ ბოხუას
გარდაცვალების გამო.

# დაბადების დღეს ვულოცავთ!




დავით კვირცხალიას




სერგო კრავეიშვილს




ოთარ ფულეისკირს

## ვულოცავთ!

### დავით ბახტაძეს!

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და ბედნიერება დაგებედოთ. წარმატებები უხვად გქონოდეთ პირად და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

"სამტრედიის მაცნე"





### ნატო მანჯგალაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. საუკეთესო სურვილების ასრულების, სიკეთის და ბედნიერების წელი დაგდგომოდეთ.

"სამტრედიის მაცნე"



სოხო აკობია ულოცავს მეზობელს, თემურ კალოიანს დაბადების დღეს. უსურვებს ჯანის სიმრთელეს და ოჯახურ ბედნიერებას.

## უმაღლეს კატეგორიაში პირველი ადგილი ლუკა რუხაძემ დაისაკუთრა




დასრულდა ლანჩხუთში რესპუბლიკური საჭადრაკო ტურნირი "ლანჩხუთი 2022", რომელშიც მონაწილეობდა 101 მოჭადრაკე საქართველოდან (ლანჩხუთი, გორი, ქარელი, ზესტაფონი, ხონი, სამტრედია, ოზურგეთი, ჭიათურა, თერჯოლა). შეჯიბრება სამ კატეგორიაში 8, 10 და 12 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში ჩატარდა. ტურნირი, რომლის მხარდამჭერი იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, საზეიმოდ გახსნა მერმა ალექსანდრე სარიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ. ნორჩ მოჭადრაკეებს მისალმა და წარმატებები უსურვა ლანჩხუთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ ანდღულაძემ.

სამტრედიელ მოჭადრაკეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაზე უმაღლეს კატეგორიაში 12 წლამდე ვაჟთა და გოგონათა შორის პირველი ადგილი არავის დაუთმო სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ბატონი ივანე კილტავა) მოსწავლემ, 10 წლის ლუკა რუხაძემ (მწვრთნელი ბესარიონ ლეჟავა). ვულოცავთ ლუკას, უნიჭიერეს ყმაწვილს მორიგ ბრწყინვალე გამარჯვებას, დამსახურებულ პირველ ადგილს, ოქროს მედალს და თასს ლანჩხუთის რესპუბლიკურ საჭადრაკო ტურნირში "ლანჩხუთი 2022". არც ერთი წაგება, შვიდი შესაძლებლობიდან ექვსნახევარი ქულა. ვულოცავ ასევე მის არაჩვეულებრივ პედაგოგს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ბატონ ბესარიონ ლეჟავას ამ ახალ წარმატებას, რამეთუ მისი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია არა მარტო ლუკა რუხაძის, არამედ უამრავი სამტრედიელი მოჭადრაკის დიდი წარმატება საერთაშორისო ასპარეზზეც.

სასიხარულოა, რომ ამ ტურნირზე წარმატებული მოსწავლეების შედეგების მიხედვით მწვრთნელთა შორის მეორე ადგილზე გავიდა და ფულადი პრიზითა და დიპლომით დაჯილდოვდა ბესო მასწავლებელი.

მაისის ბოლოს თბილისში ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სამტრედიის საჭადრაკო სპორტული სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ათეულში მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატზე. მათ შორისაა წარმატებული სამტრედიელი მწვრთნელების, ქალბატონი ნინო ჯვარშეიშვილისა და ბესო ლეჟავას მოსწავლეები.

გამარჯვებას გისურვებთ, სამტრედიელო მოჭადრაკეებო!

გულიკო გოგიტიძე

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიების, "ფაზისისა" და "ქალდეას" აკადემიკოსი

## იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი სუფთა, მზიანი ბინა მოწესრიგებული სველი წერტილებითა და ყველა კომუნიკაციით.

მის.: ლაშა თევზაძის ქუჩა, ბინა 59, ოთახი №51, მე-2 სართული.

ფასი შეთანხმებით.

ტელ: 557 42 29 90, 558 55 28 88.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გობია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ზელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაკავა